აკაკი გელოვანი

# მშვიდობა ლომის ხეობას!



და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე და არა ყვნეს იგინი, ემსგავსა იგი კაცსა მას ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი ქვიშასა ზედა, და გარდამოხდა წვიმაი, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემაი იგი მისი დიდ ფრიად.

მათე 7,26-27.

წინაპართა წინასწარმეტყველური განჭვრეტა გეგონებათ „სახლი იგი დიდი ფრიად" — ხუდონჰესი, სვანეთის მთავარი ქუჩის — ენგურის ხაფანგი. ლომთა ხეობა ბობოქრობს. ზოგს ასეთი ეპითეტიც ჩვენი მოგონილი და „თავის ქება" ჰგონია, სინამდვილეში კი ასეთი რამ ჩაწერილია სვანეთის მატიანეში და ამოტვიფრულია ლომის სახე დროშის („ლემის") ჩამოსაცმელ ვერცხლის შუბასწვერზე, რაც გადმოცემით სვანებისათვის თამარ მეფეს უჩუქებია (ეს სიტყვა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მართებული განცხადებით, უბიხებს უსესხებიათ სვანურიდან. ვინმე ტურჩანინოვმა კი იგი მიუსადაგა თავის კურიოზულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ფინიკიურ, და მაშასადამე, მთელი ევროპის ანბანს — საფუძვლად დასდებია ერთადერთი „მაიკოპის ქვის" ნაკაწრი სამარჩიელო ნიშნები, რაც საერთოდ არ წარმოადგენს ანბანს).

ენგური ყოველთვის იყო სვანეთის გამოცდა. ვიდრე ერთიმეორის პირისპირ ვიყავით, ჩვენ როგორმე ვაბარებდით ამ გამოცდას. მართალია, დროდადრო რომელიმე ჩვენგანს ჩაიხვევდა და ზღვისკენ გააქანებდა, ენგური მაინც რჩებოდა ჩვენს დედამდინარედ. მაგრამ მას შემდეგ, რაც თვითონ აქციეს ზღვად, ენგურმა მსხვერპლად შეწირულ ადამიანთა სულს დანატრებული ფინიკიური მრისხანე ღმერთივით — მოლოქივით — მრისხანე იერი მიიღო და უკვე ერთეულებს კი არა, მთელს სვანეთს ემუქრება დიდი ზიანი.

ზოგს არ სურს ეს გაიგოს, თათბირები და სანქციონირებული მიტინგები უბრალო ჭირვეულობა ჰგონია, როცა მათი მიზანია ეკოლოგიური კლიმატის გაუმჯობესება, ერის სიცოცხლე და ხალხის მომავალი კეთილდღეობა.

არიან სპეციალისტები, რომელთაც ესმით და კიდეც იცავენ საქართველოს, მისი ბუნების, ერის ინტერესებს, ზოგიც პრესის ფურცლებზე თუ ეკრანიდან და ტრიბუნიდან ესხმის თავს ყველას, ვისაც საქმის რეალური სურათი აწუხებს.

ძველად იტყოდნენ: უნდა მოიკვეთოს და ცეცხლს შეეკეთოს ხენეში ტოტი...

ქართველი კაცი დიდი ვაჭარი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მაინც მაინც ძველთაგანვე ფლობდა მშობლიური მიწის გაყიდვის ხელოვნებას და ვშიშობთ, ზოგი თანამედროვეც არ იყოს ამ ხელოვნებას დაუფლებული (ამისი ფაქტები უხვად გვაქვს რესპუბლიკის ყოველ მხარეში). სხვაგვარად ვერ აგვიხსნია, რომ ჩვენში, მით უმეტეს დღეს, როცა ეროვნული თავმოყვარეობის განცდა უმზის სიმაღლეზე ადის და სახალხო ფრონტში, რუსთაველის საზოგადოებაში პოულობს სავანეს, თავისუფალ სვანთა სამოსახლოს შეუქმნეს საფრთხე, რაც ზვავ-მეწყერთა სიხახტიკეს არ ჩამოუვარდება.

ნიმუშად გავიხსენებთ ბ-ნ გივი სვანიძის განცხადებას. მისი აზრით, ნაირა გელაშვილის სტატია „ახკომში" („ტექნოკრატია, ეკოლოგია...") „წმინდა წყლის კომპილაციაა". თვით ეს განცხადება პრინციპულად შემცდარია. დიდი გოეთე იუბნებოდა ეკერმანს: მომდევნო თაობის ყოველი ნაშრომი წინამორბედთა ნაშრომებზეა აგებულიო; და უამისოდაც: ნ. გელაშვილი გულისტკივილით წერდა, ცოცხალ ფაქტებს იშველიებდა; ასეთ ნაშრომებს (მათ შორის ლექსიკონებს) „კომპილაციას" მხოლოდ დილეტანტები უწოდებენ. ხოლო თუ „ქვის ხანის" ადამიანებივით მსჯელობა დავწამეთ ყველას ვინც ბუნების დაცვაზე წერს, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე!

„თუ გექიშპები, მიზეზი შენ ხარ!" — მიმართავს ერთ კლასიკურ პიესაში გმირი ზევსს. გ. სვანიძემ ხაიშს უწოდა „ლატაკი სოფელი, სადაც ორიოდე ქოხმახია"! თუნდაც ასე იყოს! თუ ვინმეს სურს, ამ „ქოხმახების" ხარჯზე სასახლე აიშენოს, ეშლება. აკი თვითონვე აღიარა: „იქნებ ჯობდა, ასე არ მეთქვაო". მართლაც, პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?

***

ეკოლოგია სახელმწიფოებრივი პრობლემაა და ის გადაწყდება მაშინ, როცა შეგნებაც უფრო მაღალ დონეზე დადგება და რესპუბლიკაც მეტ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიაღწევს, უფლება ექნება თავისი პრობლემები თვითონვე გადაწყვიტოს. გიგანტომანიას კი ახლავე უნდა გავემიჯნოთ. პატარა ქვეყნის გადატვირთვა გიგანტებით — ერის თვითმკვლელობაა.

ამაზე ხალხმა ხმა ამოიღო. საჯაროობის წყალობით შესაძლებელი გახდა იმის თქმა, რასაც უწინ ძალადობით ახშობდნენ.

და სვანეთმა თქვა: არ გვინდა ჩვენი ბუნების შემმუსვრელი მესი!

მაშინ შენება „სათანადო დასკვნების მიღებამდე" შეაჩერეს (როცა ლამის დასრულდა!). ვინ იწყებს გიგანტების მშენებლობას „დასკვნის მიღებამდე", როცა არაფერი არაა გარკვეული? ამ თვითნებობას ემატება ლიტონი განცხადება — მავა არ შეიცვლებაო! ეს მოგვაგონებს სახარების ეპიზოდს: სინედრიონი უარყოფს კაცის ჩვენებას, ქრისტემ თვალი ამიხილაო;

— არაფერიც არ აგიხილა, ეგ ვინ არისო!

— საკვირველი ესე არის, — მიუგო ბრმაყოფილმა, — რომ თქვენ არა იცით, ვინ არის, მე კი თვალები ამიხილაო.

აქაც ასეა. მავა იცვალა, „გახდა ცა, ვითარცა ძაძა", სპეციალისტები კი კაბინეტებში ამტკიცებენ: მიკროკლიმატი არაფერიაო. თუ თავიანთ წერილებში საბოდიშოდ აღიარებენ, საქართველოს ყოველი გოჯი მიწის ქვეშ ისტორია თვლემსო, ესეც იკითხონ: რამდენი გოჯი მიწა, რამდენი კოშკი, სახლი, სოფელი, ტყე, წყალსადენი იფარება წყლით? ლატალში ქარიშხალმა კოშკებს სახურავი აძრო. ასეთი ქარი სვანეთში არავის ახსოვს. ახლა ღვართქაფი? ათი დღე კოკისპირულად წვიმდა...

ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესიის ძველი საძირკვლის ქვეშ აღმოჩენილია ადრეული ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუშები, რომელთაც არქეოლოგებმა „ხაიშის განძი" უწოდეს (ოქროს საკისრე, ზღაპრული არსებების გამოსახულებებით შემკული; ვერცხლის სასმისი და სხვ.). იქვე აღმოჩნდა ძველი სამარხი უჩვეულოდ დიდი ჩონჩხებითა და მიცვალებულთა დაკრძალ-

ვის ორიგინალური წესით. მაგრამ ხაიშში არის უფრო მნიშვნელოვანი განძიც — შრომისმოყვარე ადამიანთა სახით, მშობლიური მიწის სიყვარულით, ადათ-წესებითა და ფოლკლორით. ხაიშის დატბორვა, რასაც გიგანტომანიის ოსტატები იოლად გამოთქვამენ, არ არის იოლი საქმე. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს რუკიდან გაქრეს ვედი, ზედა ვედი, წირმინდი, ზედა წირმინდი, ლაჯრა, ბარჯაში, თოთანი, იდლიანი, ლალხორალი (აწ უკვე დაქცეული ვერაგული ხელით), ლახანი, ლებურცხილა, ლუხი, მუხაშერა, ნალქორვალი (ნაწისქვილარი), სკორმეთი, ნაკი, ქედანი, ტობარი, ჰერი, ციცხვარი, ჯორკვალი, დაკარი, ნანგვლი — სულ 28 სოფელი! სადაა დასაკარგავ-დასატბორავი სოფლები ერთ ციცქნა საქართველოში?! ხუდონჰესის მესვეურები კი „არაკომპეტენტურს“ უწოდებენ ყველა სწავლულისა და მწერლის სტატიებს, წლების განმავლობაში პრესაში გამოქვეყნებულს თუ ეთერში გადაცემულს. შეიძლება არაკომპეტენტური იყოს კაცი, რომელსაც ღვიძლი სტკივა და ექიმი უმტკიცებს, არაფერიც არა გტკივაო? არაკომპეტენტური ყოფილა მთელი ხალხი, განათლებული კაცობრიობა, რომელიც ახლა გადაჭრით ილაშქრებს მავნე გიგანტების წინააღმდეგ. სინამდვილე კი ისაა, რომ არაკომპეტენტური და არაპატრიოტულია ისეთი პროექტების ყველა ავტორი, რომელნიც მხოლოდ საკუთარ სარგებლობას ითვალისწინებენ. ბუნებას ასახიჩრებენ და ხალხს აიძულებენ გადაიხვეწოს.

ახლახან მორიგი საქმიანი შეხვედრა იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან. ბატონმა ნოდარ ჭითანავამ ყურადღებით მოისმინა ყველა ჩვენგანის თვალსაზრისი და მოგვცა იმედი, რომ ხუდონჰესის მშენებლობა აღარ გაგრძელდება. ხალხი კი მაინც ღელავს, აწყობს აქციებს, რადგან კომისია ჯერ მაინც მუშაობს და კაცმა არ იცის, რას იტყვის საბოლოოდ. ჩვენი რწმენით კი უნდა ითქვას ის, რასაც ხალხი ითხოვს და გარემოება გვაიძულებს.

გიგანტების მშენებლობა საქვეყნო, ეროვნული საკითხია. ეს არ უნდა იყოს არც ბაბილონის გოდოლი, არც ხუხულა, არც მავნე ხაფანგი.

ასეთი მოვლენები ფართო ასპექტში, მასშტაბურად უნდა განვიხილოთ. საფუძველი დადებულია, მას უკეთესად ვეღარავინ დადებს. სვანებმა საუკუნეების განმავლობაში დაიცვეს ლამის საქართველოს მესამედი მუსულმანური ტომების შემოსევებისაგან. სხვათა შორის, ექსტრემისტების შენიღბულმა ჯგუფებმა ამ ათი წლის წინათ სცადეს ასეთი „შეტევის“ განვითარება და ბოლო დროსაც უარესი სახით გაიმეორეს, იქ, სადაც დასაბამიდან ძირითადად სვანები ცხოვრობდნენ. საოცარია, რატომ ივიწყებს ზოგი პროფესიონალი დოკუმენტს, რასაც ქრისტეს თანამედროვე დიდი ისტორიკოსი სტრაბონი გვაძლევს თავის „გეოგრაფიკაში“: „დიოსკურიის მახლობლად სვანები ცხოვრობენ. ისინი ძალგულოვანნი არიან და თავიანთი სიმამაცითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხს აღემატებიან. კავკასიის მაღალი მთებიც მათ უჭირავთ და მეზობელ ხალხებს განაგებენ, ჰყავთ მეფე და 300-წევრიანი საბჭო. ამბობენ, რომ სვანებს შეუძლიათ გამოიყვანონ 200 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი, რადგან მთელი ეს ხალხი ერთნაირად ძლიერი მებრძოლებისაგან შედგება“. სად იყვნენ მაშინ ის ტომები, რომელთა დამცველი ვაიმეცნიერებიც დღეს ერთი კურიოზული ქვის გაუშიფრავი სამარხიელო ნიშნებისაგან ლამობენ ფინიკური ანბანისა და მთელი ბიბლიური მითოლოგიის „ამოკითხვას“?!

პრინციპულად ამავე მასშტაბის ღალატია ზოგი „სპეციალისტის“ მიერ წამოყენებული სვანეთის დატბორვის გეგმა, რასაც ისევ იცავენ, მიუხედავად ამ განზრახვისადმი მეცნიერთა დიდი ჯგუფის და მთელი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულებისა.

გერმანელი მეცნიერი კარლ რომმელი ადასტურებს სტრაბონის ცნობების სისწორეს: „სვანები ნამდვილად დასაბამიდან უბატონოდ ცხოვრობდნენ, მარად მამაცნი ყოფილან და არიან დღესაც, ისე რომ ბიზანტიელები თავზარდაცემულნი გაურბოდნენ. მარტო ტყვია, ოქრო და სპილენძი კი არა, ოქრო-ვერცხლის სამკაულებიც საკუთარი ჰქონიათ, და სტრაბონი ოქროს საწმისის ამბავს მართებულად უკავშირებს სვანებს“.

ვენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაისშტაინერი (და მრავალი სხვაც) ამ პოზიციას განამტკიცებს: „სვანებზე უკვე ლაპარაკობდა სტრაბონი, ასევე რომაელი მწერალი პლინიუსი. ეს იყო ძლიერი მეომარი ხალხი, რომლის სამფლობელოები შორს სცილდებოდა მის დღევანდელ სამემკვიდროს ფარგლებს. იბერიის სამეფოში სვანური ენაც ძლიერი ნაკადი ყოფილა“.

კლავდიოს პტოლემეოსის ცნობითაც სოხუმის (ცხუმის) ჩრდილოეთით სვანები, სუან-კოლხები სახლობდნენ (აქედან — სოფელი ცხუმარი — ზემო სვანეთში). ჩვენი მეცნიერებიც კი შედარებით ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას სტრაბონის ამ სრულიად სარწმუნო ცნობაზე, აგრეთვე, ცხუმის (სოხუმის იმ ძველ სახელწოდებაზე, რომელიც მტკიცედაა შემონახული სვანეთის დიდი სოფლის ტოპონიმში — ცხუმარი.

ესაა ისტორია, ფაქტების და არა მითების ენა. დღეს სვანები შედარებით მცირერიცხოვანნი არიან შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ რის საფუძველზე „ივიწყებენ“ მათს ოდინდელ ძლიერებას და როგორ ითვისებენ ოქროს საწმისის თქმულებას ისინი, რომელნიც არსებითად ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში გამოჩენილან, ჩამოყალიბებულან საერთო-ქართულ ეთნონიმ „აფხაზეთის“ სახით? კოლხეთი ხომ ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდეც, ტროის ომის ჟამსაც ძლიერი სამეფო იყო!

ტომის სიძველე და ძალა შემთხვევით არ გაგვიხსენებია. სვანეთი — ერის ბურჯთაგანია, ისტორიის მძლავრი ლოდია და მისი მორღვევა ძველი მურყვამიდან არცაა შესაძლებელი, არც ვინმეს მივცემთ ამის ნებას.

***

ერთმა გერმანელმა მწერალმა მითხრა, სვანეთს მარტო თავისი ბუნება ეყოფა, რომ შვეიცარიასავით უზრუნველად იცხოვროსო. ჩვენ კი ამ ბუნებას ნაღმებს ვუწყობთ.

სულ სხვა ჭკუის გადამთიელმა მჭლაბნელებმა რა არ გვიწოდეს! ეს მათ სინდისზე იყოს. ჩვენ კი ვაშენებთ და რაც ავაშენეთ, ათასწლეულისთვისაა ნავარაუდევი.

ჩვენ არ გვინდა ავაშენოთ ის, რაც დაინგრევა და დაგვაქცევს!

ათასი ტაძრის მშენებელ ერს რომ „მნგრეველიც“ უწოდო, ამას დიდი გონება არ უნდა, შეგელი კი მეცნიერულ ცოდნასა და გონე-



„ბაბუას იმედი“. მხატვარი ჯამბუ ცინდელიანი.

ბას ეყრდნობოდა, როცა განაცხადა: მონღოლი მხოლოდ ანგრევს, ნამდვილი პროგრესი კავკასიიდან მოდისო, და პირველ რიგში ქართველს ასახელებს. აქაც ჩანს, ვინ მოყვარეა და ვინ მტერი ჭეშმარიტებისა.

... ისე კი ცოტა შეგელსაც შეეშალა: ქართველი კაცი მართლა ანგრევს — ოღონდ საკუთარ რაობას, რაც თუნდაც იმით გამოიხატა, რომ ყველა მიიღო, მოაწყო, იძმო, აუშენა და თავისთვის ლამის სამოსახლოც არ დაიტოვა. დღეს იმ მიწასთან ერთად ზოგიერთები კოლხობასაც კი გვედავებიან. ნუთუ, ამ ზღვარდაუდებელ და ანგარიშმიუწვდომელ კონტრასტებს ჩვენი ხელით ჩვენი ბუნების დასახიჩრებაც უნდა მივუმატოთ?

„ენგურო, ჩვენ დაგიპყრობთ შენ!“ — ეს ბრიყვული წარწერა, ანაქრონისტული მუქარა იყო წლობით სვანეთის კლდეზე, ხაიშთან გაკრული, და როცა მისი მოხსნა მოვითხოვე, ზოგმა რეგვენმა ეს ისე გაიგო, თითქოს რუსული წარწერა არ მომეწონა, და ის ქართულად „თარგმნეს“. მთავარი კი შინაარსი იყო.

მუქარის მეტი რა გვსმენია მატიანეში! გვემუქრებოდნენ მაკედონელი, პომპეუსი, თათრები, სელჯუკები, სპარსნი, ლეკნი და არაბნი; სხვაც მრავალი ბარბაროსი შემოსულა მუქარით თუ ძმურად, მრავალს უღვრია ჩვენი სისხლი, წამებით დავუჩეხივართ, და დღეს კიდევ რაღა მუქარა გვინდა? ენგური სვანეთის თავისუფლების სიმბოლოა და მას ვერავინ „დაიპყრობს“. „ყოველი საქმე უმგსავსი მოკლეა, მით ოხერია“, — ბრძანა შოთამ.

მოდა, წარწერაც აღარაა.

ახლა მთავარია, როგორ ვიხსნათ მესების კასკადებისაგან ხაიში და მასთან — სვანეთი! რა პასუხს გავცემთ შამხან ხაიშელ მანდილოხანს, რომელიც კორესპონდენტს შესჩიოდა: „ჩვენ იქ უნდა დავიმარხოთ, სადაც წინაპართა ძვლები გვეგულება. რას გვიშველის აყრა და თუნდაც კარგად დასახლება?“ მოცლილები როდი არიან ხაიშელი და ჯვარელი მაშვრალები, მჯდომარე აქციითა თუ შიმშილობით რომ ილევიან!

ერთი მართალი ადამიანის ტანჯვას — მთელი იმპერიების ბედნიერებითაც კი ვერ გამოვისყიდითო, წერდა კიტა მეგრელიძე. გიგანტომანიას ჩვენი სოფლების, მთელი ამ კუთხისათვის ტანჯვა და ზიანი მოაქვს.

ვინც საშიშ გიგანტებს აგებს, წყაროებს აშრობს, ტყეს ჩეხავს, რეგვენივით ჭრის ტოტს, რომელზედაც ზის.

ეკოლოგიური ბალანსის დარღვევამ ლომთა ხეობაში უკვე მოგვცა პირველი სავალალო შედეგები. ამას ემატება მიწის კატასტროფული ბიძგების საფრთხე. ვინც ასეთ გაკვეთილებს ვერ იყენებს, ახალ ტრაგედიას უმზადებს ხალხს.

ვის სურს წყაროს მოკვეთა, წარღვნის გამოწვევა? ვის სურს მწვანე ხეობა აქციოს ღელედ გლოვისა? რვა-ცხრა ბალიან ზონაში ვართო, ამბობს სპეციალისტი მიხეილ იოსელიანი და მრავალი სხვაც ადასტურებს.

... თუ ჯებირი გაირღვა, კატასტროფა გარდუვალია!

მაინც, ვინაა, რომ ხედავს ამას და არ სურს ხილვა?

შემთხვევით არ აკავშირებს ყველა ორატორი ენგურჰესს მიწისძვრასთან: მე მახსოვს, როგორ იძრა მიწა ხაიშში და კლდეებიდან ლოდები წყდებოდა.

***

ჩვენ გვწამს „სულთა ნათესაობა“, ნებისმიერი რეგიონის ბუნებისა და ადამიანების კავშირი და მსგავსება, ისტორია იქნება, ძეგლი თუ მდინარე.

საქართველო ცოცხალი მაგალითია ბუნებისა და ადამიანების საოცარი სიახლოვისა, მჭიდრო კავშირისა და შეხამებისა. სვანურ მურყვამთა და თოვლიან მწვერვალთა „თანადგომა“, ტყეში მარგალიტივით ჩადგმული საფარა და ფიტარეთი, მდინარეში არეკლილი ციური ალავერდი, კლდეში ჩაქვავებული თმოგვი და ხერთვისი, „პეტრეს კლდის“ დამაგვირგვინებელი ჯვარი, მეტეხი და გრემი, კლდეში გამოკვეთილი უფლისციხე და გარეჯა, კლდის კედლებს შორის „ჩაწერილი“ შიომღვიმე და სხვა მრავალი — ესაა ბუნებისა და ადამიანების გენიალური კავშირის უნიკალური ძეგლები.



სვანეთის კოლორიტიც ასეთმა კავშირმა შექმნა. მხოლოდ მტერსა და ორგულს შეუძლია განაცხადოს, რა არის ისეთი სვანეთიო! რა დიდი საქმეა თუნდაც, ერთი სოფლის ჩაძირვაო!

რომელი უმეცარი იტყვის, რომ არ იცის, ვინ როდისააგო ბოლნისი, ბესლეთი, საიდან მოდის ქართული მწიგნობრობა, ვინ იყო ფარნაოზი, წმინდა ნინო, ლეონი — აფხაზ-ქართველთა მეფე, სიმონი; ვისია მუჯაბი, კობერი, ახალციხე და ა. შ. — ყოველივე ეს და ათასი სხვა ქმნის დიდ ერთიან საქართველოს, მის კულტურას, ხასიათსა და ბუნებას.

— მხოლოდ მტერსა და ორგულს შეუძლია განუსხვისებელ ღირებულებათა გაუბრალოება, დათმობა. —

ლამაზი მთები და ხეობები, როგორც დიდოსტატმა ბრძანა, ჩვენი დამსახურება არაა. ამ მთებისა და ხეობების შენარჩუნება, შემკობა, დაცვა — აი, რაა ჩვენი დამსახურება.

ამ არსთა კავშირს განმტკიცება უნდა და არა დაშლა. დატბორილი სტიქია თავდაპირველად მძინარე ჭაობს მოჰგავს, შლამითა და ხრეშით ივსება, ბუნების ჰარმონიას არღვევს და ადრე იქნება თუ გვიან, ხელოვნურ ბორკილებს გაარღვევს, მძვინვარე ლომს დაემსგავსება.

ყოველი შებოჭილი ძალა, გაკაფული ჭალა, მიტაცებული მიწა, მითვისებული ტაძრები, ერისთვის დაცემულ პატრიოტთა წმინდა სისხლი, ძალადობის მსხვერპლთა ყოველი ნეშტი — ჩვენი ტკივილია.

ბუნების ხელყოფა სიჭაბუკის დათრგუნვას ედრება. ჩვენ დღეს საუბედუროდ, ერთი მაგალითიც წინ გვაქვს და მეორე თავში საცემიც არ მოგვაკლეს...

ყველამ იცის, რომ ბუნებას დაცვა უნდა. ისიც გვესმის, რომ შუქი გვინდა. მაგრამ არსებობს საშუალებანი, რომელთა გამოყენებაც უზრუნველმყოფს ჰარმონიას — ბუნებასაც დავიცავთ და შუქიც გვექნება. მაშ, როგორ, დავანგრიოთ ბუნება და ვაშენოთ ბაბილონის გოდოლი, 200-მეტრიანი კაშხალი, რომელიც წარღვნით დაემუქრება სახელოვან კოლხეთს? ვაშენოთ ის, რაც თვალსა და ხელს შუა გვისახიჩრებს ბუნებას, ზრდის ტენიანობას, აძლიერებს მავნე ქარებს, ამცირებს ისედაც მცირემიწიანი რესპუბლიკის მიწა-წყალს?

არა! დავიცვათ დედა-ბუნება ასეთი ხელყოფისაგან. მოვუაროთ ჩვენს ოჯახს, გავუფრთხილდეთ მწვანე ხეობას, ცით მომადლებულ ადგილს, მსოფლიო მასშტაბის მარგალიტს...

სამწუხაროა, რომ მეოცე საუკუნის დასასრულს ამაზე ლაპარაკი გვიხდება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ლომთა ხეობის კანონიერ მფლობელთა სიტყვა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.